



BELLAGIO

შ.პ.ს ბელაჯიო 412700625

საფირმო სახელწოდება : LTD. BELLAGIO

ტელ: +995 592 55 95 59 / +995 574 88 17 71 / +995 571 02 66 55

mail: info@bellagio.ge

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31

დეკემბრის დასრულებული წლისთვის



ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
მოგება ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-23

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა	6
2 მომზადების საფუძველი	6
3 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	6-13
4 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	14
5 ფული და ფულის ექვივალენტები	15
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7 სასაქონლო მატერიალური მარაგები	15,16
8 არამატერიალური აქტივები	16
9 ძირითადი საშუალებები	17,18
10 საწესდებო კაპიტალი	18
11 გრძელვადიანი სესხები , დარიცხული ვალდებულებები	18,19
12 საბიუჯეტო ვალდებულებები	19
13 სავაჭრო ვალდებულებები	20
14 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20
15 შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან	20,21
16 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	21



BELLAGIO

შ.პ.ს ბელაჯიო 412700625

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
18 კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება-ზარალი.	22
19 პირობითი ვალდებულებები	22
20 ფინანსური რისკების მართვა	22,23
20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	23

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა :

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შ.პ.ს ბელაჯიო-ს ხელმძღვანელობა . ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. .
- ქვემოთ აღნიშნული ვალდებულებების გაანალიზებას და შესრულებას: ფინანსური ანგარიშგების მომზადების და შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა .
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები .
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა , რათა დაიცვას კომპანიის აქტივები .
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ

დირექტორი :	ფინანსური მენეჯერი:	მთ. ბუღალტერი:
დავით ხიდუშელი	გიორგი ხიდუშელი	ანა გოგობერიშვილი

თარიღი 25.09.2025

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1822490	1 892 500
არამატერიალური აქტივები	8	4446	3292
სულ გრძელვადიანი აქტივები		1826936	1 895 792
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	259251	318 497
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	10202	8415
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	66171	50 420
გაცემული ავანსები	6	108248	52 132
ფული და ფულის ექვივალენტები	5	84917	107 687
სულ მიმდინარე აქტივები		528789	537 151
სულ აქტივები		2355725	2 432 943
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	881 600	881 600
გაუნაწილებელი მოგება	10	768865	411 324
სულ კაპიტალი		1650465	1 292 924
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	513270	911 613
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		513270	911 613
მიმდინარე ვალდებულებები			
დარიცხული ვალდებულებები	11	60965	160 034
საბიუჯეტო ვალდებულებები	12	22583	20 891
სავაჭრო ვალდებულებები	13	106507	46 356
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14	1935	1125
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2355725	1 892 500

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორის და ფინანსური განყოფილების მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს .

დავით ხიდემელი
(დირექტორი)

გიორგი ხიდემელი
(ფინანსური მენეჯერი)

ანა გოგობერიშვილი
(მთ. ბუღალტერი)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15	2 469 832	2 196 326
შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან	15	335 220	309 266
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(2 036 570)	(1 889 579)
საერთო მოგება/ მოგება გაყიდვებიდან/		768 482	616 013
რეალიზაციის და ტრანსპორტირების ხარჯი	17	(16 886)	(27 051)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	17	(356 770)	(286 080)
საპროცენტო ხარჯი	17	(86 252)	(117 618)
სხვა შემოსავალი	15	59 791	5851
საოპერაციო მოგება /ზარალი		368 365	191 115
ფინანსური შემოსავალი. მოგება საკურსო სხვაობიდან	15	1117	751
ფინანსური ხარჯი .ზარალი საკურსო სხვაობიდან	17	(11 727)	(10 484)
მოგება/ზარალი/ საკურსო სხვაობიდან	18	(10610)	(9733)
მოგება დაბეგვრამდე		357 755	181 382
მოგების გადასახადი	12	(214)	(298)
წლის სრული შემოსავალი /ზარალი		357 541	181 084

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორის და ფინანსური განყოფილების მიერ 2025 წლის 25 სექტემბერს

დავით ხიდემელი
(დირექტორი)

გიორგი ხიდემელი
(ფინანსური მენეჯერი)

ანა გოგობერიშვილი
(მთ ბუღალტერი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1 013 600	230 240	1 243 840
2023 წლის წმინდა მოგება		181 084	
2023 წლის ცვლილებები კაპიტალში ზრდა /შემცირება	(132 000		
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	881 600	411 324	1 292 924
2024 წლის წმინდა მოგება		357 541	
2024 წლის ცვლილებები კაპიტალში ზრდა /შემცირება			
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	881 600	768 865	1 650 465

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორის და ფინანსური განყოფილების მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს

დავით ხიდემელი
(დირექტორი)

გიორგი ხიდემელი
(ფინანსური მენეჯერი)

ანა გოგობერიშვილი
(მთ ბუღალტერი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
მყიდველებისგან და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3 629 136	2 976 672
არარეზიდენტი მომწოდებლებისგან უკან დაბრუნებული თანხები		141
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(1 432 719)
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(732 593)
გაცემული შრომის ანაზღაურება		(123 545)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები		(306 055)
გადახდილი სოციალური გადასახადები		(7043)
გადახდილი მოგების გადასახადი		(298)
საოპერაციო ფულადი ხარჯები	(3 304 600)	(11 107)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(178 395)	(104 753)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	()	()
არამატერიალური აქტივების შეძენა	()	()
ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსავალი	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები		
სასესხო ვალდებულებების აღება		811 000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(863 662)
კაპიტალის შემცირება	0	(132 000)
კაპიტალის ზრდა	0	0
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(158 301)	
მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში თანხის გადარიცხვა	(239 814)	(458 583)
მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ თანხის ჩარიცხვა	239 814	458 583
ვალუტის კურსის და კონვერტაციის შედეგად გამოწვეული ზრდა / კლება /ნეტო/	(10 610)	(9778)
ფულადის სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(22 770)	64 260
ფულადის სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	107 687	43 427
ფულადის სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	84 917	107 687

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია დირექტორის და ფინანსური განყოფილების მიერ 2024 წლის 25 სექტემბერს

დავით ხიდუშელი
(დირექტორი)

გიორგი ხიდუშელი
(ფინანსური მენეჯერი)

ანა გოგობერიშვილი
(მთ ბუღალტერი)

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა N1: კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა : შპს „ბელაჯიო“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2014 წლის 23 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 412700625. იურიდიული მისამართი: საქართველო/თბილისი/ დიდუბის რაიონი/ა. ბელიაშვილის ქუჩა N187, მიმდებარედ.

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლითონის სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია. ლითონის შენადული ბადეების წარმოება და რეალიზაცია. ამავე დროს კომპანია 2022 წლის ბოლომდე დაკავებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალების, კერძოდ მესამე კლასის შენობის, და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მშენებლობით. კომპანიის იურიდიულ მისამართზე მდებარეობს გაყიდვების ოფისი და სამშენებლო მასალებისთვის განკუთვნილი საწყობი.

შ.პ.ს ბელაჯიოს 100 % იანი წილის მფლობელს და ამავე დროს კომპანიის დირექტორს წარმოადგენს დავით ხიდუშელი პ/ნ 62007000926.

შენიშვნა N2: მომზადების საფუძველი: აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის/მსს ფასს სტანდარტი/ შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. შ.პ.ს „ბელაჯიო“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პროგრამა FINA-ს მეშვეობით და მონაცემები აღებულია აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში/ლარი/

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის არსებულ პირობით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილ შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებულ მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით, ამავე დროს გამოყოფილია გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების თუ ვალდებულების მუხლები.

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:

3.1 ფული და ფულის ექვივალენტები: ფული და ფულის ექვივალენტები არის ანგარიშგების ყველაზე მეტად ლიკვიდური მუხლები, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ექვივალენტები მოიცავს: კომპანიის სალაროებში არსებულ ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

3.2 უცხოური ვალუტის გადაფასება: უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აისახება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31 დეკემბრის მდგომარეობით გადაფასებულია უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები, ვალდებულებები და მოთხოვნები, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

2022 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების

კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	100 რუსული რუბლი
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753	2.9916
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306	2.5405

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:/ გაგრძელება/

3.3 მარაგები: მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ნეტო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის საქმიანობის ნორმალურ პირობებში შეფასებით გასაყიდ ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ღირებულებას და ყველა იმ დანახარჯს რაც საჭიროა აქტივის ახლანდელ ადგილამდე და თავის ფუნქციამდე მისაყვანად. მარაგების შესყიდვის ხარჯები მოიცავს შესყიდვის ხარჯს/ უცხოურ ვალუტაში შესყიდვის ხარჯს წარმოადგენს ავანსის გადარიცხვის დროს ფიქსირებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის მიხედვით გადარიცხული თანხა ლარში, რომელიც შემდგომ გადაფასებას არ ექვემდებარება/, იმპორტის და სხვა გადასახადებს / გარდა სახელმწიფო ორგანოებისგან დაბრუნებადი გადასახადებისა/, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ხარჯებს, რომელთა პირდაპირ მიკუთვნება შესაძლებელია მარაგების შესყიდვაზე. მარაგების შეფასებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 სავაჭრო დებიტორული დავალიანება: სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მისი გაუფასურება ხდება მაშინ როცა არსებობს ობიექტური მტკიცებულება რომ კომპანია ვერ შეძლებს საწყისი შეთანხმებული პირობების შესაბამისად მთლიანი თანხის მიღებას. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო დებიტორების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით/ აღნიშნული რეზერვი არ არის შექმნილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, არამედ ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტის ანალიზის საფუძველზე, გამომდინარე იქიდან რომ შ.პ.ს ბელაჯიოს არ ყავს რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი დებიტორი/ და უიმედო დავალიანების ნაშთი აღიარდება მოგება ზარალში ადმინისტრაციულ ხარჯებში. უიმედო ვალის დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი თანხა კრედიტდება ადმინისტრაციული ხარჯის ანგარიშზე.

3.5 მოგების გადასახადი: კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადი გამოითვლება დარიცხული დივიდენდი გაყოფილი 0.85 ზე და გამრავლებული 15 %-ზე.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები. ამგვარი გადასახადები მოგების დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია და პროგრამულად აისახება მოგების გადასახადის ქვეანგარიშის მეშვეობით.

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა/ გაგრძელება/

3.6 დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

3.7 საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში

3.8 სხვა აქტივები: სხვა აქტივები ძირითადად მოიცავს 1 წელზე მეტი ან 1 წელზე ნაკლები მოხმარების ისეთ ფასეულობებს რომლებიც არ წარმოადგენს არც გასაყიდად განკუთვნილ საქონელს , და არც ნედლეულს წამოებისთვის .ეს არის ის მცირეფასიანი აქტივები , რომლებიც გამოიყენება მიმდინარე

ეკონომიკური საქმიანობისთვის, ბასს 16 -ის განმარტებით არსებული მატერიალური აქტივებიდან ზოგიერთი შესაძლოა აკმაყოფილებდეს ძირითადი საშუალებების კლასიფიკაციისთვის საჭირო კრიტერიუმებს, მაგრამ სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით , რომელიც ეყრდნობა არსებობის პრინციპს ფასის მიხედვით, ასეთი აქტივები აღირიცხება მარაგების სახით 1900 სინთეზურ ანგარიშზე.

3.9 ძირითადი საშუალებები, აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ფასის ან შესყიდვის ფასისგან , მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების , გამოუქვითავი გადასახადების , და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით . ნებისმიერი სავაჭრო ფასდათმობა აკლდება მშენებლობის ან შესყიდვის ფასს. ძირითადი საშუალებების მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტი , მცირე შეკეთება-განახლება, აღიარდება პერიოდის ხარჯად . სარემონტო მასალები ჩამოიწერება ადმინისტრაციულ ხარჯებში მისი გამოყენებისთანავე. ოპერაცია აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში .

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალების მწარმოებლობის ამალგებასთან , მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტის განახლება-ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება , რაც ამალგებს ძირითადი საშუალების თვითღირებულებას. გამოცვლილი ნაწილები ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით , გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ზარალი , ასეთის არსებობის შემთხვევაში .

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა/ გაგრძელება/

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე. აღნიშნული მიდგომა არ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებად, არამედ წარმოადგენს ძირითადი საშუალებების შეფასების ცვლილებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, რაც გულისხმობს იმას რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. /ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება გადაიხედება ყოველწლიურად მენეჯმენტის მიერ, რათა შეფასდეს მათი ღირებულება შესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა წელი
შენობა ნაგებობები	10-50 წელი
მანქანა დანადგარები	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	4-6 წელი
სხვა აქტივები	3-5 წელი

3.10 საინვესტიციო ქონება: საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით. საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. საწარმომ უნდა განსაზღვროს იმ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება, რომელიც თვითონ საწარმოს მიერ არის აშენებული. მის ფასს-ის 16 განყოფილება „საინვესტიციო ქონება“ ეხება მხოლოდ ისეთი საინვესტიციო ქონების აღრიცხვას, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევების გარეშე, შესაძლებელია მუდმივად, ნებისმიერ დროს. ასეთი საინვესტიციო ქონება უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა საინვესტიციო ქონება აღიარდება თვითღირებულების მოდელით, რომელიც აღწერილია მე-17 განყოფილებაში – „ძირითადი საშუალებები“ და დარჩება მე-17 განყოფილების მოქმედების სფეროში, სანამ შესაძლებელი არ გახდება მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელი არ იქნება, რომ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი იქნება ნებისმიერ დროს მომავალშიც.

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა:/ გაგრძელება/

საწარმოს ბალანსზე ირიცხება საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები , შენობა -ნაგებობები. შენობის მშენებლობა და რემონტი, მისი ძირითადი ნაწილი დასრულდა 2022 წლის ბოლოს, ამავე თარიღში გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება მოიჯარე მხარესთან . აღნიშნული საინვესტიციო ქონება აღიარებულია თვითღირებულებით და აღირიცხება მსს ფასს-ის 17 განყოფილების მიხედვით , როგორც ძირითადი საშუალება .

3.11 არამატერიალური აქტივები: არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია ამ აქტივისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება . და შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო შეფასება . თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით . ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით . ისევე როგორც სხვა დანარჩენ ძირითადი საშუალებებისთვის . არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება , ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში . არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით . კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიებს , რომლებიც ამორტიზირდება 10 წელზე.

3.12 სავაჭრო კრედიტორული დავალიანება : სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება სამართლიანი ღირებულებით , რომელიც შემდეგ გადაფასდება საჭიროებისამებრ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული.

3.13 იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, კომპანია აფასებს: - გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას - კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ: (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება; (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა/ გაგრძელება/

კომპანია როგორც მეიჯარე, საიჯარო კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას კომპანია, ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე ანაწილებს მათი შესაბამისი დამოუკიდებელი ფასების მიხედვით. როდესაც კომპანია მეიჯარეს სახით მოქმედებს, ის იჯარის დაწყებისას განსაზღვრავს იჯარა ფინანსურ იჯარას წარმოადგენს თუ საოპერაციო იჯარას. თითოეული იჯარის კლასიფიკაციისთვის, კომპანია ახორციელებს ზოგად შეფასებას იმისა გადასცემს თუ არა იჯარა შესაბამისი აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. თუ კი, მაშინ იჯარა ფინანსური იჯარის სახით კლასიფიცირდებოდა; თუ არა, მაშინ საოპერაციო იჯარის სახით. აღნიშნული შეფასების ნაწილის სახით, „კომპანიამ“ გაითვალისწინა გარკვეული მაჩვენებლები, მაგალითად იყო თუ არა იჯარა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის ძირითადი ნაწილისთვის. კომპანია საოპერაციო იჯარების ფარგლებში მიღებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს შემოსავლის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

3.14 საწესდებო კაპიტალი: საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.

ცვლილება საწესდებო კაპიტალში ხდება პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

კაპიტალი აღიარდება როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

შ.პ.ს „ბელაჯიო“-ს მიმდინარე დამფუძნებელმა დავით ხიდელმა, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის დირექტორს 2017 წლის 30 ივლისს შეიძინა კომპანიის 100 % იანი წილი. წილის ყიდვის მომენტში სხვადასხვა ჩანაწერებზე დაყრდნობით, მათ შორის საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ შ.პ.ს ბელაჯიოს საწესდებო კაპიტალი მოიცავდა:

398 481 ლარს/სამასოთხმოდეთრამეტათასოთხასოთხმოდეთთილარი/. აღნიშნული თანხა მიჩნეულია საწესდებო კაპიტალის საწყის ნაშთად 2017 წლის 30 ივლისის მდგომარეობით. ნებისმიერი ცვლილება შემდგომ პერიოდში კაპიტალის გაზრდა თუ შემცირება რეგულირდება კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

3.15 დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული დივიდენდი შესაბამისად აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

3.16 შემოსავლების აღიარება: კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება ლითონის სამშენებლო მასალების საცალო თუ საბითუმო რეალიზაციიდან, ასევე მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან. ძირითადი საქმიანობის გარდა კომპანია წარმოადგენს მეიჯარე მხარეს საიჯარო ხელშეკრულებების ფარგლებში და ღებულობს საიჯარო შემოსავლებს. შემოსავლის დარიცხვისთვის კომპანიამ უნდა შეასრულოს ვალდებულებები დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აღნიშნული ვალდებულების ძირითადი შემადგენელი ნაწილია: მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია, შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიკაცია, გარიგების ფასის განსაზღვრა, გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე, შემოსავლის აღიარება როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა: / გაგრძელება/

3.17 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება: გაყიდვა აღიარდება საქონლის კონტროლის გადაცემისას , როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. გაყიდვა აღიარდება რისკების გადაცემისთანავე.

3.18 ხარჯების აღიარება : მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

3.19 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება : საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მათი მოგება ზარალში ასახვით , ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით

3.20 ურთიერთგადაფარვა : ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება, როცა მხარეები შეთანხმდნენ სახელშეკრულებო პირობებით ურთიერთგადაფარვაზე და არსებობს განზრახვა იმისა , რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით , ან მოხდეს აქტივების და ვალდებულების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება , თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.21 შესადარისი ინფორმაცია: 2022 წლის პირველი იანვრიდან კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის პირველად გამოიყენა მსს ფასს სტანდარტი . აღნიშნული სტანდარტის მე-18 განყოფილების „ არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა“ თანახმად შეირჩა არამატერიალური აქტივის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა , რომელიც არ აღემატება 10 წელს. საწარმომ 2022 წლიდან არამატერიალური აქტივის ცვეთადი ღირებულება გადაანაწილა სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები , ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია თავდაპირველ ღირებულებასა და ცვეთად ღირებულებას შორის სხვაობის თანხით. აღნიშნული მიდგომა არ განხორციელდა რეტროსპექტულად. მსს ფასს-ის მე-10 განყოფილება სააღრიცხვო პოლიტიკა, შეფასებები და შეცდომები აღნიშნულია: 10.16 სააღრიცხვო შეფასებაში შეტანილი ცვლილების შედეგი, აისახება მოგებაში ან ზარალში პერსპექტიულად: (ა) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება, თუ ეს ცვლილება ზემოქმედებს მხოლოდ მოცემულ საანგარიშგებო პერიოდზე; ან (ბ) იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც განხორციელდა ცვლილება და შემდგომ პერიოდებშიც, თუ ეს ცვლილება მომავალ პერიოდებზეც ახდენს გავლენას.

2022 წლის ბოლოს საწარმომ შექმნა საექვო დებიტორების რეზერვის ანგარიში. და უიმედო დავალიანების ნაშთი აღიარდა მოგება ზარალში ადმინისტრაციულ ხარჯებში. აღნიშნული ინფორმაცია ნაწილობრივ ცნობილი იყო 2021 წელს , მაგრამ საექვო დებიტორების რეზერვის ანგარიში შეიქმნა მხოლოდ მსს ფასს სტანდარტზე გადასვლისას, რაც აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში პერსპექტიულად.

შენიშვნა N3: ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა: / გაგრძელება/

3.22 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2022 წლის ბოლოს საწარმომ გააფორმა მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულება 5 წლის ვადით . აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია როგორც მეიჯარე მხარე საიჯარო ხელშეკრულების დაწყებისთანავე იღებს გადაწყვეტილებას იჯარა საოპერაციოა თუ ფინანსური , რომლის შედეგები შესაბამისად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში . იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

ხელშეკრულების ფარგლებში მისაღები საიჯარო შემოსავლები 5 წლიანი ვადის პირობებში შეადგენს 2023 წლის განმავლობაში 106 200 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად .2024 წლის განმავლობაში 134 520 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად .2025 წლის განმავლობაში 134 520 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად .2026 წლის განმავლობაში 134 520 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად .2027 წლის განმავლობაში 134 520 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად .2028 წლის განმავლობაში / ორი თვის დარიცხვა/ 22420 დოლარს გადახდის დროს არსებული ეროვნული ბანკის მიერ შემოთავაზებული კურსის შესაბამისად.

რადგან ეს გარიგება თავდაპირველად განვიხილეთ საოპერაციო იჯარად, რადგან დროის სიმცირის გამო არ არსებობდა სათანადო რესურსი შეგვეფასებინა გარიგების კლასიფიკაცია / გარიგების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში განხორციელდა 2022 წლის 27 დეკემბერს / მომავალშიმისაღები საიჯარო გადასახდელების დისკონტირება და მისი ასახვა ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წელს როგორც აქტივი, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი

ღირებულების ტოლი თანხით არ მომხდარა . მოიჯარე მხარემ 2022 წლის 21 დეკემბერს კომპანიის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა საიჯარო გადასახდელის ავანსი 5333 /ხუთიათასსამასოცდაცამეტილარი/ლარის ოდენობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახა ვალდებულების სახით .

აღნიშნული გარიგება გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით ამ საკითხის გადახედვას . 2023 წლის განმავლობაში გადაიხედა საკითხი და იჯარა დაკვალიფიცირდა საოპერაციო იჯარად , აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძირითადად საფუძვლად ედო საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა 2024 წლის ივნისის საანგარიშო პერიოდიდან .

შენიშვნა N 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები :კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- საკრედიტო ზარალის განსაზღვრა: კომპანია მოთხოვნების ამოღების შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობაზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის რომ კომპანია სავარაუდოდ ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს, მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე და მსჯელობაზე, და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

- საიჯარო ვადის განსაზღვრა: საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძვლები (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია კომპანიის როგორც მეიჯარის კონტროლის ფარგლებში.

- ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა :როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები

- საგადასახადო პირობითი ვალდებულებები: საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება.

შენიშვნა N 5: ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
ქართული ლარი /GEL/	30 695	105 231
აშშ დოლარი /USD/	54 222	2 456
ევრო /EUR/	-----	-----
რუსული რუბლი /RUR/	-----	-----

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ, თიბისი ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

შენიშვნა N 6: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები :

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	66 170	50420
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5 633	3298
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	102 615	48834
საბაჟო ორგანოსთვის გადახდილი ავანსები	-----	-----
სულ მოთხოვნები ბრუტო	174 418	102 552
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	-----	-----
სულ მოთხოვნები ნეტო	174 418	102 552

- საექვო მოთხოვნების შეფასებითი ანალიზი მენეჯმენტმა დაიწყო 2022 წლიდან
- გაცემული ავანსების მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება არარეზიდენტი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან , რაც გამოიწვლად არის წარმოდგენილი სხვა მოთხოვნებისგან .

შენიშვნა N 7: სასაქონლო მატერიალური მარაგები :

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
სარეალიზაციო საქონელი	214 689	284 206
ნედლეული და მასალები	12 531	13 154
მზა პროდუქცია	32 031	21 137
სხვა მიმდინარე აქტივები	10 192	8415
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	269 443	326 912

შენიშვნა N 7: სასაქონლო მატერიალური მარაგები/გაგრძელება/

- სარეალიზაციო საქონელში მოიაზრება გასაყიდად განკუთვნილი ლითონის პროდუქცია , ძირითადად ლითონის პროფილური მილები , მრგვალი მილები , კუთხოვანა, ზოლოვანა, ორტესები და ა.შ. ასევე სხვადასხვა წვრილმანი სამშენებლო მასალები :საჭრელი რგოლები, ელექტროდები, სადებავები, სამშენებლო სპეც ტანსაცმელი, ფოლადის ფიტინგები და ა.შ
- ნედლეული და მასალები: ეს არის აქტივები რომელსაც საწარმო იყენებს საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ამ ჯგუფში შედის როგორც სამშენებლო სარემონტო მასალები საკუთარი წარმოების შენობა ნაგებობების შესაქმნელად , ასევე ნედლეული მავთულის სახით,ლითონის სამშენებლო ბადეების საწარმოებლად. ჯგუფის ნაწილია კომპანიის ბალანსზე რიცხული ავტომობილებისთვის განკუთვნილი საწვავიც.
- მზა პროდუქცია: ლითონის სამშენებლო ბადეები და ხამუთები , რომლის წარმოება მიმდინარეობს კომპანიის იურიდიულ მისამართზე: ბელიაშვილის 187.
- სხვა მარაგები: სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ის ნაწილი , რომელსაც საწარმო იყენებს ეკონომიკური დანიშნულებით , მაგრამ სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს არაარსებითი და მცირე ფასიანი მატერიალური აქტივების. კერძოდ 100 ლარზე მცირე ღირებულების აქტივების ცალკე ჯგუფად აღრიცხვას, არ ფასდება ფასს -ის 17 განყოფილების მიხედვით , როგორც ძირითადი საშუალება , არამედ აკუმულირდება 1900 სინთეზურ ანგარიშზე , რომელიც პერიოდულად ჩამოიწერება შეფასებითი მიდგომით ადმინისტრაციულ ხარჯებში .

შენიშვნა N 8: არამატერიალური აქტივები :

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

2023 წელი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ ჯამი
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3135	3135
შეძენა	847	847
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	3983	3983
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	313	313
პერიოდის ცვეთა	378	378
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	691	691
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2822	2822
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	3292	3292
2022 წელი		
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	2288	2288
შეძენა	847	847
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3135	3135
აკუმულირებული ცვეთა		
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	0	0
პერიოდის ცვეთა	313	313
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	313	313
ნარჩენი ღირებულება		
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	2288	2288
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2822	2822

შ.პ.ს ბელაჯიო 412700625

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა N 9: ძირითადი საშუალებები :

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

2022 წელი	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ ჯამი
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 407 210	131 032	13 243	59 093	51 269	2 110 803
შემოსვლა	0	0	25 632	4670	1032	2515		33 849
გასვლა/ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 432 842	135 702	14 275	61 608	51 269	2 144 652
აკუმულირებული ცვეთა								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	0	0	45 467	70224	2950	26 794	32 598	178 033
პერიოდის ცვეთა	0	0	34 869	21311	1975	11 051	4 913	74 119
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	0	0	80 336	91535	4 925	37 845	37 511	252 152
ნარჩენი ღირებულება								
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 361 743	60 808	10 293	32 299	18 671	1 932 770
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 352 506	44 167	9350	23 763	13 758	1 892 500
2022 წელი								
ისტორიული ღირებულება								
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	448 956	0	1 146 401	127 728	8 947	53 555	48 842	1 834 429
შემოსვლა	0		260 809	3304	4296	5538	2427	276 374
გასვლა/ჩამოწერა	0		0	0	0	0	0	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 407 210	131 032	13 243	59 093	51 269	2 110 803
აკუმულირებული ცვეთა								
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	0	0	14 516	39 440	1746	16572	18 192	90 466
პერიოდის ცვეთა	0	0	30 951	30 784	1204	10222	14 406	87 567
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	0	0	45 467	70224	2950	26 794	32 598	178 033
ნარჩენი ღირებულება								
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისთვის	448 956	0	1 131 882	88 289	7 202	36 984	30 650	1 743 963
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	448 956	0	1 361 743	60 808	10 293	32 299	18 671	1 932 770

შენიშვნა N 9: ძირითადი საშუალებები :/გაგრძელება/

განმარტება: 2023 წლის საქმიანობის შედეგების ციფრულ ფორმებში ამორტიზაციის ხარჯად ადმინისტრაციული ხარჯის ნაწილში მოცემულია

67 423 ლარი , რომელიც შედგება არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის 378 ლარის და სხვა დანარჩენი ამორტიზებადი ძირითადი საშუალებების 67 045 ლარის ამორტიზაციისგან . შენიშვნა N 9 ში 2023 წლის ცვეთადი ღირებულება უდრის 74 119 ლარს . სხვაობა 7074 ლარი არის წარმოებაზე დარიცხული ამორტიზაცია, რომელიც შედის მზა პროდუქტის თვითღირებულებაში. ეს არის ძირითადად იმ მანქანა დანადგარების და იმ ნაგებობების ცვეთა , რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებასთან . აღრიცხვის იგივე მიდგომა გამოყენებულია 2022 წელს. წლის განმავლობაში ცვეთადი ღირებულებაა 87 567 ლარი, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში ნაჩვენებია ცვეთა 77 765 ლარის ოდენობით, საიდანაც 313 ლარი არის არამატერიალური აქტივების ცვეთა , რაზეც წარმოდგენილია ცალკე ცხრილი, სხვაობა 10 115 ლარი წარმოადგენს წარმოების თვითღირებულებაში შემავალ ამორტიზაციას.

შენიშვნა N 10: საწესდებო კაპიტალი : კაპიტალი მოიცავს პარტნიორების შენატანებს და გაუნაწილებელ მოგებას. როგორც აღნიშნული იყო შენიშვნა 3.14 პუნქტში საწესდებო კაპიტალის შევსება გაგრძელდა მას შემდეგ რაც დამფუძნებელმა 2017 წლის 30 ივლისს შეიძინა შ.პ.ს „ბელაჯიო“ -ს 100 პროცენტიანი წილი . საწესდებო კაპიტალის საწყის ნაშთად ამ პერიოდიდან მიჩნეულია 398 481 ლარი. 2020 წლის დასაწყისში საწესდებო კაპიტალი გაზრდილი იყო 1 200 993 ლარამდე, 2020 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ცვლილებებს . გაზრდა: 387 007/ შემცირება 264 914/ ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1 323 086.

2021 წლის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში გაზრდა: 0/ შემცირება 60 000. ნაშთი 1 263 086.

2022 წლის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში : გაზრდა 0/შემცირება 249 487/ ნაშთი 1 013 599

2023 წლის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში : გაზრდა 0/ შემცირება 132 000/ ნაშთი 881 600

შენიშვნა N 11: გრძელვადიანი სესხები: კომპანიას სესხები აღებული აქვს სს თიბისი ბანკისგან ლარში. სასესხო ვალდებულებების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მოკლევადიან სესხებს, რომელიც გამიზნულია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.თუმცა საბანკო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სესხის ვადა მოიცავს ერთ წელზე მეტ პერიოდს , ამიტომ აღებული სესხები კვალიფიცირდება გრძელვადიან სესხებად. არსებული სესხებიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყოფილ იქნეს გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი და აისახოს მიმდინარე სესხებში , რაზეც გაკეთდება ცვლილება და აისახება ანგარიშგებაში რეტროსპექტულად.

გრძელვადიანი სესხების ნაწილს წარმოადგენს დირექტორის მინდობილი პირისგან მიღებული სესხები ლარში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 10 % . საწარმოს დამფუძნებელმა, რომელიც ამავე დროს საწარმოს დირექტორია და მმართველმა ორგანოებმა 2021 წლიდან მიიღეს გადაწყვეტილება რომ ფულადი სახსრების კაპიტალიზირება მომხდარიყო არა საწესდებო კაპიტალის გაზრდით ,არამედ სესხის შემოტანით, სასესხო ვადად განისაზღვრა საშუალოდ 5 წელი .

მიღებული სესხები	ვალუტა	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სს თიბისი ბანკისგან ნასესხები სესხები	ლარი	623 000	508 000
თანამშრომლისგან ნასესხები სესხები	ლარი	188 000	202 500

შენიშვნა N 11: გრძელვადიანი სესხები/ გაგრძელება/

მიღებულ სესხებზე მოძრაობა წლების მიხედვით

საწყისი ნაშთი	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
საწყისი ნაშთი	964 275	757 775
სესხის აღება	811 000	710 500
სესხის გადახდა	(863 662)	(504 000)
საპროცენტო ხარჯი	71 431	100 993
პროცენტის გადახდა	(61 746)	(32 523)
საბოლოო ნაშთი	911 613	964 275

დარიცხულ ვალდებულებებში მოიაზრება თანამშრომლისგან აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი . 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლისგან, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მმართველ ორგანოს , აღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულება შეადგენს 150 349 ლარს .

2023 წლის განმავლობაში აღნიშნული დარიცხული ვალდებულებები პროცენტის სახით გაიზარდა 71 431 ლარით. შემცირდა 61 746 ლარით , ნაშთი შეადგენს 160 034 ლარს .

შენიშვნა N 12: საბიუჯეტო ვალდებულებები : საგადასახადო ვალდებულებები 2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით. 2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა ჯგუფზე, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები.ამგვარი გადასახადები მოგების დეკლარაციის განუყოფელი ნაწილია და პროგრამულად აისახება მოგების გადასახადის ქვეანგარიშის მეშვეობით.

შენიშვნა N 13: სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	11 622	24 686
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ	53	53
მიღებული ავანსები	34 681	7177
სულ ჯამი	46 356	31 914

შენიშვნა N 14: ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

სახელფასო დარიცხვები მიკუთვნება იმ პერიოდის ხარჯს, როდესაც რეალურად ისინი წარმოიშვა. სახელფასო განაცემები შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების საფუძველზე გაიცემა არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა. შესაბამისად თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით თუ განაცემი განხორციელდა მომდევნო თვეში თვის ბოლოს წარმოიშვება სახელფასო ვალდებულებები.

შენიშვნა N 15: შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითადი ოპერაციები ხორციელდება საქართველოში. ძირითადი შემოსავალი მოიცავს ლითონის სამშენებლო მასალის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს, მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან მიღებულ შემოსავალს. ასევე კომპანიამ 2022 წლის ბოლოს გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება და წარმოადგენს მეიჯარე მხარეს. ძირითად შემოსავლებს დაემატა უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები.

- არასაოპერაციო შემოსავლები შედგება საკუროს სხვაობისგან მიღებული შემოსავლებისგან.
- წარმოების პროცესში დროდადრო ფიქსირდება წარმოებაზე მიკუთვნების კოეფიციენტის მეტობა. მიკუთვნების კოეფიციენტი დადგენილია მენეჯმენტის მიერ სტანდარტული წონების და წარმოების მიხედვით, რომელიც დროდადრო გადაიხედება პრაქტიკაზე დაყრდნობით. წარმოებაზე მიკუთვნების მეტობა ზრდის მოგებას, რაც წარმოდგენილია მიკუთვნების მეტობით გაზრდილი შემოსავლის სახით.
- საწარმოში დროდადრო ტარდება ინვენტარიზაცია სასაქონლო ნაშთების შემოწმების მიზნით. აღმოჩენილი საქონლის ზედმეტობა მიღებულია შემოსავალში, და წარმოდგენილია აღურიცხველი საქონლის შემოსავალში მიღების მუხლით.

შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	1 600 450	1 800 591
შემოსავალი ნედლეული და მასალის რეალიზაციიდან	3 298	2 350
შემოსავალი მზა პროდუქტის რეალიზაციიდან	592 578	710 522
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	309 266	22 830
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები ჯამი:	9 549	8 430
მოგება საკუროს სხვაობიდან		1 478
აღურიცხველი საქონლის შემოსავალში მიღება	6106	496
წარმოებაზე მიკუთვნების მეტობით გაზრდილი შემოსავალი	872	6 390
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2 571	66
სულ შემოსავალი	2 515 141	2 544 723

შენიშვნა N 15: შემოსავალი საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან /გაგრძელება/

- ❖ *ციფრულ ფორმებში სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი/ -ის ნაწილში დაფიქსირებულია 2023 წელს 5851 ლარის შემოსავალი. ზემოთ აღნიშნულ ცხრილში არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია 9 549 ლარის ოდენობით . აღნიშნული სხვაობა 3698 ლარის ოდენობით განპირობებულია იმით რომ ციფრულ ფორმებში სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი/ ურთიერთგადაფარულია.
- ❖ *ციფრულ ფორმებში სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი/ -ის ნაწილში დაფიქსირებულია 2022 წელს 8106 ლარის შემოსავალი. ზემოთ აღნიშნულ ცხრილში არასაოპერაციო შემოსავლები წარმოდგენილია 8 430 ლარის ოდენობით . აღნიშნული სხვაობა 324 ლარის ოდენობით განპირობებულია იმით რომ ციფრულ ფორმებში სხვა არასაოპერაციო შემოსავალი /ხარჯი/ ურთიერთგადაფარულია.

შენიშვნა N 16: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის და ნედლეულის შესყიდვის ხარჯს და საკუთარი წარმოების პროდუქციის დამზადებისთვის გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

შენიშვნა N 17: საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი : საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

❖ ცხრილში მოცემულია სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯებიც

	31 დეკემბერი 2023 წელი	31 დეკემბერი 2022 წელი
ხელფასის ხარჯი	141 658	96 287
ცვეთა და ამორტიზაცია	67 423	77 765
საწვავის ხარჯი	18 605	24 763
რეკლამის ხარჯი	2 178	887
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	8 447	5 973
კომუნალური ხარჯები	18 740	7781
მიმდინარე საექსპლუატაციო რემონტის ხარჯი	10 711	6748
სოციალური დანარიცხები საპენსიო შენატანი	3 209	3173
დარიცხული ქონების გადასახადი	15 401	14643
სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯები	117 618	100 993
სხვა საოპერაციო ადმინისტრაციული ხარჯები	26 759	23 510
სულ საოპერაციო ხარჯები	430 749	362 523

სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯების გარდა ადმინისტრაციული ხარჯების ჯამია 313 131 ლარი

შ.პ.ს ბელაჯიო 412700625

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში , თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა N 18: კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

2023 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ ჯამი
დადებითი ეფექტი	751	-----		751
უარყოფითი ეფექტი	(10 484)			(10 484)
სულ ჯამი	(9 733)			(9 733)

შენიშვნა N 18: კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) /გაგრძელება/

2022 წლის განმავლობაში კურსის ცვალებადობის ეფექტი კომპანიის შედეგებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ ჯამი
დადებითი ეფექტი	518	-----	960	1478
უარყოფითი ეფექტი	(4048)		(332)	(4380)
სულ ჯამი	(3530)		628	(2902)

შენიშვნა N 19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები :საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ზოლო სამი წლის განმავლობაში.

შენიშვნა N 20 ფინანსური რისკების მართვა: კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები. კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს მიღებული სესხები და სავაჭრო ვალდებულებები მიღებული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას ასევე აქვს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნა და ფულადი სახსრები.

შენიშვნა N 20 ფინანსური რისკების მართვა/გაგრძელება/
საკრედიტო რისკი: კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამშენებლო სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და რმელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიშვება მომწოდებლებთან და პროდუქციის მწარმოებლებთან სავაჭრო ურთიერთობით. ასეთ მომსახურებებზე ძირითადად შეთავაზებულია შემდგომი გადახდის პირობა 30 დან 60 დღემდე.

საბაზრო რისკი :საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით.

სავალუტო რისკი: სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

შენიშვნა N 21: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები: ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიის დამფუძნებელზე დივიდენდი არ გაცემულა. ბალანსის თარიღის შემდგომ კომპანიამ შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება ერთ ერთ მოიჯარესთან, თუმცა რადგან იჯარა წარმოადგენდა საოპერაციო იჯარას , ის არ აყო დისკონტირებული ღირებულებით წარმოდგენილი და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებით არ იყო გაზრდილი აქტივები , შესაბამისად ეს მოვლენა ვერ მოახდენდა გავლენას 2023 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე .
